სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახური

ბრძანება

16/05/2025

MES 1 25 0000003141

საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებაში ცვლილების შეტანის შესახებ

„საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" 59-ე და 63-ე მუხლების, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 12 ივლისის N141/ნ ბრძანებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-3 პუნქტის „პ" ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. „საჯარო სამართლის იურიდიული პირის საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის შინაგანაწესის დამტკიცების შესახებ" სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის 2019 წლის 28 ივნისის N79 ბრძანებით დამტკიცებულ დანართში შევიდეს შემდეგი ცვლილებები:

ა) მე-11 მუხლის პირველი და მე-2 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:
„1. დასაქმებულს უფლება აქვს სამსახურის სისტემის გარეთ არსებულ პროფესიული განვითარების პროგრამაში მონაწილეობისათვის 5 წლის განმავლობაში ისარგებლოს შვებულებით არაუმეტეს 3 თვისა თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნებით, ან/და შვებულებით არაუმეტეს 1 წლისა თანამდებობრივი სარგოს შენარჩუნების გარეშე.

2. ამ მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული შვებულების ვადების გაგრძელება დაუშვებელია. შვებულების მოთხოვნის უფლება დასაქმებულს წარმოეშობა მუშაობის დაწყებიდან (პირველად დასაქმებულის თანამდებობაზე დანიშვნის შესახებ ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტის ან/და შრომითი ხელშეკრულების ძალაში შესვლის დღიდან) 30 თვის შემდეგ. დამსაქმებელი უფლებამოსილია დასაქმებულს მისცეს შვებულება აღნიშნული ვადის დადგომამდეც.";

ბ) მე-20 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„5. ფასიანი საჩუქარი გაიცემა „კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში.“;

გ) 30-ე მუხლის მე-6 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„6. ამ მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებული ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი საჩივრდება საქართველოს ადმინისტრაციული კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

2. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

3. ბრძანება გაეგზავნოს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის უფროსის მოადგილეებსა და ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

4. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქალაქი თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი N64).

სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების
მანდატურის სამსახურის
უფროსის მოვალეობის შემსრულებელი

სალომე სანაძე